განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **შორენა ხუბუნაია**

წევრები: **ზაირა ბერიძე**
თეა მაისურაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ „საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **209467646**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 14 აგვისტოს N747-ე ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია (ჯგუფის თავმჯდომარე), ზაირა ბერიძე (ჯგუფის წევრი), თეა მაისურაძე (ჯგუფის წევრი) 2018 წლის 23 და 24 აგვისტოს განახორციელა ვიზიტი სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „მერმისი“. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „საოფისე საქმის“, „ვებ ინტერფეისის დეველოპერისა“ და „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სამივე სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლელო პროგრამებთან აფილირებული შიდა მარეგულირებელი აქტები და დაწესებულების მიერ მათი შესრულების მართებულობა, რისთვისაც განხორციელდა ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიურება „საოფისე საქმის“, „ვებ ინტერფეისის დეველოპერისა“ და „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებლებთან.

ზემოხსენებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რესურსები და განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**		
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**		
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**		
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**		
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**		
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**		
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**		
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**		
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**		
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**		
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**		
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;			
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**		
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**		
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**		
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**		
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**		

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

<u>სტანდარტი 1.1</u>

1. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების გადაბარების უზრუნველყოფის გამჭვირვალეობისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო პროცესის დაგეგმვის მართებულობის მიზნით, რეკომენდებულია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების შედგენისას მკაფიოდ დაიცვას მოდულთა თანმიმდევრულობის პრინციპი.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას, რეკომენდებულია დაწესებულებამ მოდულების განმახორციელებელ პერსონალთან თანამშრომლობით, მოდულებში ასახოს საკუთარი მიდგომები. რაც საშუალებას მისცემს მოდულის განხორციელების შემდეგ გამოავლინოს სწავლების პროცესში გასაუმჯობესებელი მიმართულებები და ხარისხის მართვის სამსახურთან ერთად, იზრუნოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაზე.

<u>სტანდარტი 1.4</u>

1. დაწესებულებამ უზრუნველყოს არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის პროცესის გამჭვირვალობა, რისთვისაც რეკომენდებულია განსაზღვროს კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახეები ან ამ უფლების დადასტურების პროცესი, რის მტკიცებულებასაც განათავსებს პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.
2. დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ აქტში გაწეროს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებითა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღირების გზით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N147 ბრძანების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯის მისიაა წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური და სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ ახორციელებს პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ 19 და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ 18 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და სურს დამატებით განახორციელოს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
მათ შორის, ახორციელებს **პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ შემდეგ პროგრამებს**:

1. სავალი ნაწილის ტექნიკოსი – მესამე საფეხური
2. გიდი (გეოტურიზმის და ა.შ.) - მესამე საფეხური
3. სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი - მესამე საფეხური
4. სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი - მესამე საფეხური
5. ბუღალტერი – მესამე საფეხური
6. სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი –მესამე საფეხური
7. პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსი – მესამე საფეხური
8. ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) – მესამე საფეხური
9. ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) - მესამე საფეხური
10. ძრავის შემკეთებელი - მესამე საფეხური
11. ელექტრიკოსი - მესამე საფეხური
12. მემინანქრე - მესამე საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

13. ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტი - მესამე საფეხური
14. ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი - მესამე საფეხური
15. ტუროპერატორი - მესამე საფეხური
16. მზარეული - მეორე საფეხური
17. მზარეული - მესამე საფეხური
18. სტილისტი (ქალი, მამაკაცი) - მესამე საფეხური
19. დურგალი - მესამე საფეხური

ახორციელებს **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ შემდეგ პროგრამებს:**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდამჭერი (მესამე საფეხური)
2. ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი (მეოთხე საფეხური)
3. დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი (მესამე საფეხური)
4. თექის ოსტატი (მესამე საფეხური)
5. ბუღალტერ-ტექნიკოსი (მესამე საფეხური)
6. ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი (მეოთხე საფეხური)
7. დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი (მეოთხე საფეხური)
8. ფილამწყობი (მესამე საფეხური)
9. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი (მეხუთე საფეხური)
10. სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (მესამე საფეხური)
11. თმის სტილისტი (მესამე საფეხური)
12. ბუღალტერი (მეხუთე საფეხური)
13. ტუროპერატორი (მეხუთე საფეხური)
14. ოფისის მენეჯერი (მეოთხე საფეხური)
15. კონდიტერი (მესამე საფეხური)
16. მემინანქრე (მეოთხე საფეხური)
17. სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)(მეოთხე საფეხური)
18. კულინარიის ხელოვნება (დუალური)(მესამე საფეხური)

სურვილი აქვს განახორციელოს **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შემდეგი პროგრამები:**

- საოფისე საქმე (მეოთხე საფეხური)
- ვებ ინტერფეისის დეველოპერი (მესამე საფეხური)
- ელექტროობა (მესამე საფეხური)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „მერმისი“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2018 წლის 31 ივლისის №04-382 ბრძანებით, დირექტორის უფლებამოსილება განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივლისის №04-331 ბრძანებით დამტკიცებული **„სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესის“** მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით.

ვიზიტის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა განხორციელების უფლების მოპოვება სურს დაწესებულებას.

საოფისე საქმის, ვებ ინტეფეისის დეველოპერისა და ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით, კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 30 ივლისის №04-379 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით. კომისიის 2018 წლის 30 ივლისის №1 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 30 ივლისის №04-380 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით.

საოფისე საქმის, ვებ ინტეფეისის დეველოპერისა და ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის 2018 წლის 31 ივლისის №04-382 ბრძანებით.

საოფისე საქმის, ვებ ინტერფეისის დეველოპერისა და ელექტროობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა (მათ შორის არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, რაც შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისია. **საოფისე საქმისა და ელექტროობის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. თუმცა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

- სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპრობები. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, 31-ე კვირიდან 35-ე კვირის ჩათვლით აღემატებოდა 40 საათს, კერძოდ, სტუდენტთა დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით შეადგენდა: 31-ე კვირაში - 42 საათს, 32-ე კვირაში - 41-ს, 33-ე კვირაში - 47-ს, 34-ე კვირაში - 45-ს, 35-ე კვირაში - 42 საათს. (იხ. დანართი 2. დაწესებულების მიერ გამოგზავნილი საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულში მითითებლია - „დამატებითი რეკომენდაციები მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით“. მოდულის აღნიშნულ ნაწილში მოცემულია სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები და არ არის ასახული დაწესებულების კონკრეტული მიდგომები (იხ. დანართი 3, დაწესებულების მიერ გამოგზავნილი მოდულები: **ნორმატიული აქტების გამოყენება, ინტერპერსონალური კომუნიკაცია, საინფორმაციო - საცნობარო დოკუმენტების წარმოება, გაცნობითი პრაქტიკა-საოფისე საქმე და სხვა).**

ვებ ინტერფეისის დეველოპერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

- სასწავლო გეგმაში არ იყო დაცული პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპრობები. კერძოდ: მოდულის - **საიტის სტილებით გაფორმება - css** წინაპირობაა მოდული - **ვებ საიტის მარკირება -html,** ხოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნული მოდულები ისწავლებოდა პარალელურად, პირველივე კვირიდან; მოდულის **საიტის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript** წინაპირობაა მოდული - **საიტის ინტერაქტივისა და ეფექტების გამოყენება - JavaScript,** ხოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნული მოდულები ისწავლებოდა პარალელურად მეთოთხმეტე კვირიდან. მოდულის - **ვებ მარკირების გაფართოებული შესაძლებლობები (HTML5, CSS3)** სწავლება იწყებოდა იმ მოდულის ბოლო კვირაში, რომელიც წარმოადგენს მის წინაპირობას (მოდული- **საიტის სტილებით გაფორმება- css)** (იხ. დანართი 4. დაწესებულების მიერ გამოგზავნილი ვებ ინტერფეისის დეველოპერის სასწავლო გეგმა და მოდულები)

პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.

ელექტროობის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამაში:

სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპრობები. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. თუმცა, სასწავლო გეგმაში საკონტაქტო საათების ჩანაწერში დაშვებული იყო ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ: საკონტაქტო საათის გრაფაში მითითებული იყო 60 საათი შეფასებისათვის განკუთვნილი საათების ჩათვლით, თუმცა, შეფასების საათების გრაფაში ცალკე აღნიშნულია შეფასებისათვის განკუთვნილი საათები, რაც საბოლოო ჯამში აჭარბებს მოდულის კრედიტით გათვალისწინებული საათების მოცულობას, თუმცა, კვირეული განაწილება მოდულის შესაბამისია (იხ. დანართი 5. დაწესებულების მიერ გამოგზავნილი სასწავლო გეგმა და მოდულები: საინჟინრო ხაზვა, ელექტრული და ელექტრონული პრინციპები, კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ელექტროობაში, ელექტრული ტექნოლოგია, ელექტრული მანქანების თავისებურებები და გამოყენება, ელექტრონული მონტაჟი, მათემატიკა ელექტრიკოსებისათვის და საინჟინრო პროექტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 24 აგვისტოს N04-394 ბრძანებით, უზრუნველყო აღნიშნული უზუსტობების გამოსწორება (დანართი 6), კერძოდ:

- გასწორდა საოფისე საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატირთვის მოცულობა;

- გასწორდა ვებ ინტერფეისის დეველოპერის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მოდულების დაგეგმვა ისე, რომ დაცული იყოს მოდულებზე დაშვების წინაპირობები, თუმცა მოდულებზე სწავლა იწყება იმ კვირაში, როდესაც მთავრდება სასწავლო პროცესი მის წინმსწრებ მოდულზე. აღნიშნულ კვირაში საათობრივი დატვირთვის მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ (მაგალითად: საიტის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript წინაპირობაა მოდული - საიტის ინტერაქტივისა და ეფექტების გამოყენება - JavaScript, წინმსრები მოდული მთავრდება მე-17 კვირაში, საათობრივი დატვირთვა შეადგენს 13 საათს, ამავე კვირაში იწყება მოდული - საიტის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript, საათობრივი დატვირთვა შეადგენს 10 საათს), მოდულების დაგეგმვისას, მაქსიმუმ ერთდღიანი შუალედი შეიძლება იყოს დაცული. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტს დასჭირდება წინმსწრები მოდულის სწავლის შედეგ(ებ)ის გადაბარება, კოლეჯს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტში აქვს ჩანაწერი: „პროფესიული სტუდენტის/ სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე ერთი კვირით გადაავადოს მომდევნო მოდულის სწავლების დაწყება სასწავლო პროცესის სხვა მოდულის საათებით დარეგულირების ხარჯზე“.

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯის „მერმისი“დირექტორის 2017 წლის 27 აპრილის №04-129 ბრძანებით დამტკიცებული **სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი““ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“** მე-13 მუხლი არეგულირებს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. რის მიხედვითაც კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან:

საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლოს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზებისათვის:

1. სსიპ ქ. თბილისის მე-200 საჯარო სკოლა, ს/კ [redacted]
2. სსიპ ქ. თბილისის 29-ე საჯარო სკოლა, ს/კ [redacted]
3. სსიპ ქ. თბილისის მე-14 საჯარო სკოლა, ს/კ [redacted]
4. სსიპ ქ. თბილისის 86-ე საჯარო სკოლა, ს/კ [redacted]
5. სსიპ ქ. თბილისის 133-ე საჯარო სკოლა, ს/კ [redacted]
6. სსიპ ქ. თბილისის 169-ე საჯარო სკოლა, ს/კ [redacted]
7. ახალი უმაღლესი სასწავლებელი, ს/კ [redacted]

ვებ ინტერფეისის დეველოპერის პროფესიული საგანმანათლებლოს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზებისათვის:

1. **სსიპ ქ. თბილისის 29-ე საჯარო სკოლა, ს/კ [redacted]**
2. **სსიპ ქ. თბილისის მე-14 საჯარო სკოლა, ს/კ [redacted]**
3. **სსიპ ქ. თბილისის 86-ე საჯარო სკოლა, ს/კ [redacted]**
4. **სსიპ ქ. თბილისის 133-ე საჯარო სკოლა, ს/კ [redacted]**
5. **სსიპ ქ. თბილისის 169-ე საჯარო სკოლა, ს/კ [redacted]**
6. **ახალი უმაღლესი სასწავლებელი, ს/კ [redacted]**
7. **შპს „ბიემსი“ საკონსულტაციო კომპანია ს/კ [redacted]**

ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაცნობით პრაქტიკასა და საინჟინრო პროექტს დაწესებულება ახორციელებს ადგილზე, სასწავლებლის ბაზაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის შემდეგ ობიექტებზე:

1. შპს „ბიემსი“ საკონსულტაციო კომპანია ს/კ [redacted]
2. სსიპ ქ. თბილისის 169-ე საჯარო სკოლა, ს/კ [redacted]

ვიზიტის პერიოდში ინტერვიურებისას გაირკვა, რომ პრაქტიკის ობიექტები მზად არიან სტუდენტთა სწავლებისათვის და აღწერეს დაწესებულებასთან თანამშრომლობის პროცედურები.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, ავტორიზაციის მიზნებისათვის დაწესებულების მიერ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები ზოგადი ხასიათისაა და არ ითვალისწინებს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა დაწესებულების მიდგომებით, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია და დოკუმენტაცია სხვა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პრაქტიკით. რის საფუძველზეც დადგინდა, რომ დაწესებულება პრაქტიკის განხორციელების დაწყების წინ პრაქტიკის ობიექტთან აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაზუსტებულია პრაქტიკული კომპონენტის დაწყების, დასრულების, სწავლების ხანგრძლივობის, კვირეული დატვირთვისა და სწავლებაზე დაშვებული პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის შევსებული დღიურები და მეცადინეობაზე დასწრების აღრიცხვის რეესტრები.

სწავლის შედეგის დადასტურების გაფორმების მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტთა ჯგუფის პორტფოლიო, სადაც განთავსებული იყო სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები და შეფასების უწყისები.

დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა და მოდულების განმახორციელებელ პირებს (სულ ინტერვიუ განხორციელდა 4 პირთან). პროგრამის ხელმძღვანელი პირები თავად არიან პროგრამის ძირითადი მოდულების განმახორციელებლები. ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ პერსონალს ჰქონდა მოდულის სწავლების გამოცდილება, იცნობდა მოდულის სპეციფიკასა და განხორციელების თავისებურებებს.

<u>რეკომენდაცია:</u>

1. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების გადაბარების უზრუნველყოფის გამჭვირვალეობისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო პროცესის დაგეგმვის მართებულობის მიზნით, რეკომენდებულია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების შედგენისას მკაფიოდ დაიცვას მოდულთა თანმიმდევრულობის პრინციპი.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას, რეკომენდებულია დაწესებულებამ მოდულების განმახორციელებელ პერსონალთან თანამშრომლობით, მოდულებში ასახოს საკუთარი მიდგომები. რაც საშუალებას მისცემს მოდულის განხორციელების შემდეგ გამოავლინოს სწავლების პროცესში გასაუმჯობესებელი მიმართულებები და ხარისხის მართვის სამსახურთან ერთად, იზრუნოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯის „მერმისი“დირექტორის 2018 წლის 12 ივლისის №04-331 ბრძანებით დამტკიცებული **სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯის „მერმისი“დირექტორის 2017 წლის 27 აპრილის №04-129 ბრძანებით დამტკიცებული **სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი**
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების ბრძანება (№04-382, 31.07.2018)
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:
  - საოფისე საქმე (მეოთხე საფეხური)
  - ვებ ინტერფეისის დეველოპერი (მესამე საფეხური)
  - ელექტროობა (მესამე საფეხური)
- ✓ მემორანდუმები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ
- ✓ ინტერვიურების შედეგები
- ✓ ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე
- ✓ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები (ნამუშევრები), უწყისები;
- ✓ პრაქტიკის გატარების შესახებ ხელშეკრულება, პრაქტიკის დღიურები, დასწრების აღრიცხვის რეესტრები

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულებაში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ორი კატალოგი- საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის. კატალოგებში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ, რომელთა განხორციელების უფლება აქვს დაწესებულებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (საგნობრივი)
2. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (მოდულური)
3. ვებგვერდი - mermisicollege.edu.ge

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის 2018 წლის 31 ივლისის №№04-382 ბრძანებით დამტკიცებული **საოფისე საქმის მეოთხე საფეხურის**, **ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის** და **ელექტროობის მესამე საფეხურის** პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:
  - საოფისე საქმე (მეოთხე საფეხური)
  - ვებ ინტერფეისის დეველოპერი (მესამე საფეხური)
  - ელექტროობა (მესამე საფეხური)
- ✓ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის 2017 წლის 27 აპრილის №04-129 ბრძანებით დამტკიცებული **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“** მე-2 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურას, მე-3 მუხლის ეხება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას, მე-4 მუხლით დარეგულირებულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პროცედურები; მე-5 მუხლი ეხება მობილობის პროცესს და მე-6 მუხლი არეგულირებს მიღებული განათლების აღიარების პროცედურას.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის 2017 წლის 27 აპრილის №04-129 ბრძანებით დამტკიცებული - **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“** სხვა სამართლებრივ აქტებთან ერთად ითვალისწინებს მოთხოვნებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებას „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებას „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებს, თუმცა, დაწესებულებას არ აქვს გაწერილი უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პროცედურა. პასუხისმგებელ პირთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ დაწესებულებას არ ჰყავს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, ხოლო უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებით ჩარიცხული ერთი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე წარმოადგინა, სადაც განთავსებულია სსიპ განათლების ხარისხი განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული წინმსწრები განათლების აღიარების დოკუმენტი. დაწესებულების მიერ არ არის დარღვეული პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესი.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ მიერ დადგენილი რეგულაციების შესრულების გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ განხორციელდა პასუხისმგებელ პირთან ინტერვიურება და შერჩევით გადამოწმდა რამდენიმე სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებიდან კვალიფიკაციის მინიჭებამდე შექმნილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ დაწესებულება იცავს მის მიერ გაწერილ შიდა რეგულაციას, თუმცა გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისას, ხელშეკრულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიხედვით, ის გაფორმებულია მის კანონიერ წარმომადგენელთან. პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში განთავსებულია ხელშეკრულების ხელმომწერი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა ვერ მოიძებნა მისი კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი ვერც ერთი დოკუმენტი. აღნიშნულის აუცილებლობა დაწესებულებას არც შიდა მარეგულირებელ აქტში არ აქვს გაწერილი. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტების ნუსხა გაწერილი აქვს კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს 2017 წლის 27 აპრილის სხდომის №2 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული შინაგანაწესის 45-ე მუხლით, რის მიხედვითაც:

1.პროფესიული სტუდენტის „პირადი საქმე“ იქმნება და მას აწარმოებს კოლეჯის დირექტორის განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი.

2. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე მოიცავს საბუთების მიღების ეტაპზე წარმოდგენილ ყველა დოკუმენტს: ა) პირადი (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს; ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი); გ) 2 ფერადი ფოტოსურათი ზომით 3x4-ზე; დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის) მოთხოვნის შესაბამისად საბაზო ან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ნოტარიალურად დამოწმებული ასლი) ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი (ნოტარიალურად დამოწმებული ასლი), რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო (სრული) ზოგადი განათლების მიღების გარეშე. ე) დისციპლინის დარღვევის ან/და წახალისების ზომის გამოყენების შესახებ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებს; ვ) მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას. ზ) ნებისმიერ ისეთ დოკუმენტს, რომელიც პირდაპირ და უშუალო კავშირშია პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და მოვალეობებთან.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს, სადაც ასახულია ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების, პერსონალის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირებისა და სხვათა შესახებ ინფორმაციას.

<u>რეკომენდაცია:</u>

1. დაწესებულებამ უზრუნველყოს არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის პროცესის გამჭვირვალობა, რისთვისაც რეკომენდებულია განსაზღვროს კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახეები ან ამ უფლების დადასტურების პროცესი, რის მტკიცებულებასაც განათავსებს პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.
2. დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ აქტში გაწეროს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებითა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღირების გზით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N147 ბრძანების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის 2017 წლის 27 აპრილის №04-129 ბრძანებით დამტკიცებული - „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“
- ✓ პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები (მათ შორის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის)
- ✓ ვიზიტი www.evet.emisi.ge
- ✓ ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის 2017 წლის 27 აპრილის №04-129 ბრძანებით დამტკიცებული - „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ მე-7 მუხლი არეგულირებს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, რის მიხედვითაც: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას. კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, კერძოდ:
- სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზაების ცენტრი“
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“
- სსიპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“
- სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“

დაწესებულებაში პასუხისმგებელ პირთან ინტერვიურებისას, ექსპერტთა ჯგუფმა იკითხა პროგრამის ცვლილების, გაუქმების ან სხვა შემთხვევის არსებობის თაობაზე, რის საფუძველზეც დაწესებულებამ განახორციელა მიღებული განათლების აღიარება. დაწესებულების პასუხისმგებელმა პირმა დაასახელა ერთი შემთხვევა და წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია: „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოდიფიცირდა და დამტკიცდა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახით. „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობდა ორი ჯგუფი. 2018 წლის 5 აპრილს გაიმართა კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 5 აპრილის №04-149 ბრძანებით შექმნილი შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სხდომა „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების თავსებადობის თაობაზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან. კომისიის საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, კოლეჯის დიერქტორის 2018 წლის 5 აპრილის №04-150 ბრძანების შეიქმნა პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებისა და კრედიტების მინიჭების მიზნით. კომისიამ 2018 წლის 5 აპრილს №1 საოქმო გადაწყვეტილებით პროფესიულ სტუდენტებს უღიარა „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული სწავლის შედეგები და მიენიჭათ შესაბამისი კრედიტები „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის. რის საფუძველზეც, დაწესებულებამ შეიმუშავა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ორივე ჯგუფისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის 2017 წლის 27 აპრილის №04-129 ბრძანებით დამტკიცებული - „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფრომებული მემორანდუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა გადაყვანის, მიღებული კრედიტების აღიარებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების დოკუმენტაცია

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის 2015 წლის 14 აგვისტოს №04-277 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“ და შეფასების კითხვარების ფორმები (პროფესიულ სტუდენტთა, პედაგოგთა, კუსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა).

დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ „სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“
- ✓ გამოკითხვის კითხვარები
- ✓ ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიშები
- ✓ ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯს "მერმისი"ქ. თბილისი, გურამიშვილი ჩიხი 9ა, საკუთრებაში გააჩნია მიწის ნაკვეთი ფართით 5566,0 კვ.მ, შენობის საერთო ფართი 3607,38 კვ.მ

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	ქ. თბილისი, გურამიშვილი ჩიხი 9ა (1. №[redacted])	მიწის ნაკვეთი ფართით - 5566,0 კვ.მ., შენობების საერთო ფართი - 3607,38 კვ.მ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან [redacted]
- ✓ შენობა-ნაგებობების ოფიციალური აზომვითი ნახაზები (საკადასტრო გეგმა)
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო ფართი, კერძოდ:

<u>ელექტროობა</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტროობის მესამე საფეხურის პროგრამის A/C ინტეგრირებული სასწავლო სახელოსნოს ფართი შეადგენს 66მ², ხოლო B კომპიუტერული კლას-კაბინეტის ფართი შეადგენს 42მ². აღნიშნულ პროგრამაზე ორ ცვლაში სწავლებით შესაძლებელია 40 პროფესიული სტუდენტის განთავსება. აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით.

<u>ვებ-ინტერფეისის დეველოპერი</u>

ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროგრამის კომპიუტერული სახელოსნოს ფართი შეადგენს 40მ² და აქვე გათვალისწინებულია ისიც რომ პროფესიული სტუდენტი კრედიტების გარკვეულ ოდენობას ითვისებს A (40 მ²), გარემოში (აქვე უნდა აღინიშნოს რომ B სასწავლო გარემო, მოცემულ პროგრამაში წარმოადგენს C გარემოს). აღნიშნულ პროგრამაზე ორ ცვლაში სწავლებით შესაძლებელია 40 პროფესიული სტუდენტის განთავსება. აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით.

<u>საოფისე საქმე</u>

საოფისე საქმის მეოთხე საფეხურის პროგრამის ორი სასწავლო აუდიტორიის ფართი შეადგენს 40მ² + 40მ² = 80მ² (კოლეჯში არსებული რესურსი ანუ A/B ინტეგრირებული, ინტერნეტითა და ნოუთბუქებით აღჭურვილი სასწავლო გარემოს ფართი). აღნიშნულ პროგრამაზე ორ ცვლაში სწავლებით შესაძლებელია 80 პროფესიული სტუდენტის განთავსება. აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები და მიღება ჩაბარების აქტები.
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „მერმისი“ არსებობს ელექტროენერიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. დაწესებულება რეგისტრირებულია ელექტროენერგიის (აბონენტის [redacted]) და გაზის (აბონენტის [redacted]) გადამხდელად. წარმოდგენილია ელექტროენერგიისა და გაზის გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები. არსებოებს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და სველი წერტილები, ცენტრალური გათბობა და მიმდინარეობს გათბობის სისტემის განახლების სამუშაოები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ადგილზე დათვალიერება
- ✓ ელექტროენერგიისა და გაზის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯში „მერმისი“ საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობის წესი რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2014 წლის 26 აპრილის №04-20 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ ბიბლიოთეკის დებულებითა“ და „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ ბიბლიოთეკის ფონდით და სამკითხველო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარბაზით სარგებლობის წესით“. რის მიხედვითაც დარეგულირებეულია: ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობები, ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობები, კოლეჯის ბიბლიოთეკის წევრობა, მკითხველის უფლება-მოვალეობები, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები, ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის პროცედურა, ელექტრონულ მატარებლებზე არსებული რესურსებით სარგებელობა, მკითხველთა პასუხისმგებლობა, მკითხველის უფლებების დაცვა, ანგარიშგება და წიგნადი ფონდის შევსების სტრატეგიების განსაზღვრა

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნები, რომელიც იყო აკინძული და დამუშავებული საქმისწარმოების წესის მიხედვით.

დაწესებულება სარგებლობს OpenBiblio-ს პროგრამით. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - საოფისე საქმე, ელექტროობა, ვებ ინტერფეისის დეველოპერი მოდულების შესაბამისი სასწავლო რესურსი, რის მიხედვითაც დადგინდა რომ დაწესებულებაში ხელმისაწვდომია. სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ ელექტრონული და ბეჭდური კატალოგები
- ✓ მკითხველის ბარათები
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: საოფისე საქმე, ელექტროობა, ვებ ინტერფეისის დეველოპერი
- ✓ 2014 წლის 26 აპრილის №04-20 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ ბიბლიოთეკის დებულება“
- ✓ 2014 წლის 26 აპრილის №04-20 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ ბიბლიოთეკის ფონდით და სამკითხველო დარბაზით სარგებლობის წესი“
- ✓ წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნები;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში "მერმისი" საგანმანათლებლო დაწესებულების მართვასა და საგანმანათლებლო საქმიანობაში გამოიყენება საინფორმაციო - საკომუნიკაციო სისტემები. დაწესებულებას საკუთრებაში აქვს:

- კომპიუტერული ტექნიკა (პერსონალური კომპიუტერი, ნოუთბუქი) 383 ერთეული, რომელთაგან სასწავლო საქმიანობაში გამოიყენება 220 პერსონალური კომპიუტერი და 118 ნოუთბუქი, ხოლო ადმინისტრაციული საქმიანობისათვის - 28 ერთეული კომპიუტერი და 17 ერთეული ნოუთბუქი
- ქსეროქსის აპარატი - 1 ცალი
- კომბაინი - 40 ცალი, მათ შორის 21 ერთეული ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, ხოლო სასწავლო საქმიანობიისათვის - 19 ერთეული
- პროექტორი - 27 ცალი, მათ შორის 1 ერთეული ადმინისტრაციული საქმიანობისათვის, ხოლო 26 ერთეული სასწავლო საქმიანობისათვის

დაწესებულებაში არსებობს ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა, რისთვისაც 2017 წლის 16 მარტს სს „სილქნეტთან" აქვს გაფორმებული №01/26 **ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების სააბონენტო** ხელშეკრულება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სატელეკომუნიკაციო მომსახურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კომპიუტერული ტექნიკის გადანაწილების აქტები;
- ✓ ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ✓ საატელეკომუნიკაციო მომსახურების გადახდის ქვითრები
- ✓ ადგილზე დათვალიერება;
- ✓ ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „მერმისი“ საქმისწარმოების წესი რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2014 წლის 25 ივნისის №04-17 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესით“. რის მიხედვითაც დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: თანამშომელთა ვალდებულებები, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობები, შემოსული კორესპოდენციის მიღება, აღრიცხვა (რეგისტრაცია) და დაგზავნა, დოკუმენტების შედგენა, გაგზავნა, ინდექსებისა და რიგითი ნომრების მინიჭება, ბეჭდებისა და შტამპების გამოყენება, არქივის მუშაობის წესი.

დაწესებულება ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში eflow.

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ფაქტობრივი გარემოება, მოხდა გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან და წარმოდგენილ იქნა შემდეგი დოკუმენტაცია:

- ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელიც აკინძული, დანომრილი, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმულია

- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელიც დანომრილია, თუმცა არ არის აკინძული და დამუშავებული საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ საქმისწარმოების ინსტრუქცია
- ✓ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების სარეგიტრციო ჟურნალი
- ✓ ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი
- ✓ საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა - eflow

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც:

დირექტორის 2014 წლის 25 ივნისის 2014 წლის №04-09 ბრძანებით დამტკიცებულია **„სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“,** რის მიხედვითაც: კოლეჯის წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის ზოგადი წესები, დარაჯის ფუქცია მოვალეობები, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზომები, კოლეჯის ქონების ფლობის, სარგებლობის ან განკარგვაზე უფლებამოსილი პირების/კოლეჯის ვალდებულებები, თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, მედდის უფლება-მოვალეობები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ 2014 წლის 25 ივნისის 2014 წლის №04-09 ბრძანებით დამტკიცებულია **„სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“**
- ✓ საევაკუაციო გეგმა
- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ დარაჯისა და მედდის დანიშვნის ბრანებების;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ შენობა სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის. შშმ პირთა თავისუფალი გადაადგილებისათვის დაწესებულებაში არსებობს ლიფტი, პანდუსი და უსინათლო პირების გადაადგილებისათვის სპეციალური ბილიკი, როგორც შენობის შიგნით, ისე გარეთ; ადაპტირებული სველი წერტილები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვიზუალური დათვალიერება
- ✓ ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ვებგვერდი www.mermisicollege.edu.ge, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით, ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალის, ჩარიცხვის პირობების, ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ და სხვა; ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების სტრუქტურა (ორგანოგრამა), დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია, პროფესიული განათლების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების შესაბამისი ბმულები, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესახებ, სამოქმედო გეგმები, ანგარიშები და სხვა.

ვებგვერდზე ხდება ინფორმაციის გონივრულ ვადაში განახლება. რეგულარულად თავსდება სიახლეები. ბოლო სიახლე განთავსებლი 2018 წლის 22 აგვისტოს.

დაწესებულება რეგისტრირებულია დომენის ადმინისტრატორად - www.mermisicollege.edu.ge

ვებ ჰოსტინგის მომსახურებისათვის, დაწესებულებას შპს „მაგთიკომთან“ 2018 წლის 7 თებერვალს გაფორმებული აქვს №21 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ ვებგვერდი - www.mermisicollege.edu.ge
- ✓ ვიზიტი ვებგვერდზე
- ✓ დომენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ ჰოსტინგის ფლობის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (№21, 07.02.2018)

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №2 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ 2018-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2023 წლის განვითარების სტრატეგიული გეგმა, ხოლო კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული აქვს 2018 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ მისია;
- ✓ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ 2018-2023 წლების სტრატეგიული გეგმა;
- ✓ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ 2018 წლის სამოქმედო გეგმა;
- ✓ მისია განთავსებულია ვებგვერდზე;
- ✓ SWOT ანალიზი.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2017 წლის 27 აპრილის N 2 სხდომის ოქმით დამტკიცებული აქვს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისის“ შინაგანაწესი, სადაც გაწერილია შინაგანაწესის რეგულირების სფერო და მიზნები, წყაროები, მოქმედების სფერო, შესრულების კონტროლი, კოლეჯის სტრუქტურა, შრომის განაწესი, დასაქმებულის მსურველთათვის დადგენილი ძირითადი ვადა, დამატებითი მოთხოვნები, შრომითი ურთიერთობის გამომრიცხავი გარემოებები, დასაქმებულის მსურველთა, პროფესიული განათლების პედაგოგთა შერჩევა და სამსახურში აყვანის გაფორმება, სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტები, სამუშაოს შესრულების ადგილი, შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა, სამუშაო, დასვენებისა და შესვენების დრო, თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე მოსვლისა და წასვლის წესი, გაცდენილი სამუშაო დროის საპატიოდ და არასაპატიოდ ჩათვლა, არასამუშაო დროს სამუშაო ადგილზე ყოფნის წესი, დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლება-მოვალეობანი, ეთიკის ნორმები, შვებულება, მივლინება, დასაქმებულის წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა, შრომის ანაზღაურება, მუშაობის სტაჟის დადასტურება, დავალება-მითითებათა თანამშრომლებამდე დაყვანის წესი, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, კანონიერ წარმომადგენელთა და კოლეჯის უფლება-მოვალეობანი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, პროფესიულ სტუდენტთა წახალისების ზომები, პირადი საქმეები.
პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2014 წლის 26 ივნისის №04-19 ბრძანებით დამტკიცებულ საშტატო თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებში.

დაწესებულებაში ვიზიტისას, ფაქტობრივი მდგომარეობისა და პირადი საქმეების შესწავლისას დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პერსონალის პირადი საქმეები
- ✓ 2014 წლის 26 ივნისის №04-19 ბრძანებით დამტკიცებულ საშტატო თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმამათლებლო პროგრამების - "ელექტროობა", „ვებ ინტერფეისის დეველოპერის", „საოფისე საქმის" - ინფორმაცია პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ, სადაც მოცემულია სავალდებულო ზოგადი და საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლების გვარი, სახელი, კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება.

დაწესებულებაში ვიზიტისას, ფაქტობრივი მდგომარეობისა და პირადი საქმეების შესწავლისას დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დაწესებულებას **საოფისე საქმის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის ყავს 10 მასწავლებელი (აქედან, დარგობრივი კომპონენტის განმახორციელები 2, ხოლო ზოგადი სავალდებულო მოდულის - 8 პროფესიული მასწავლებელი), დაწესებულება გეგმავს 80 პროფესიული სტუდენტის მიღებას. თანაფარდობა დაცულია.

დაწესებულებას **ვებ ინტერფეისის დეველოპერის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის ყავს 9 მასწავლებელი (აქედან, დარგობრივი კომპონენტის განმახორციელები 2, ხოლო ზოგადი სავალდებულო მოდულის - 7 პროფესიული მასწავლებელი), დაწესებულება გეგმავს 40 პროფესიული სტუდენტის მიღებას. თანაფარდობა დაცულია.

დაწესებულებას **ელექტროობის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის ყავს 7 მასწავლებელი (აქედან, დარგობრივი კომპონენტის განმახორციელები 2, ხოლო ზოგადი სავალდებულო მოდულის - 5 პროფესიული მასწავლებელი), დაწესებულება გეგმავს 40 პროფესიული სტუდენტის მიღებას. თანაფარდობა დაცულია.

დასტურდება(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით
- ✓ დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „მერმისი“ დაწესებულებაში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კონკურსით გზით. დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვის პროცედურა გაწერილია სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯის „მერმისი“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და შინაგანაწესით.

ფაქტობრივი გარემოების ანალიზისას დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი ერსონალთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პერსონალის პირადი საქმეები
- ✓ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის /საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ელექტროობა	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569	52	67	ქართული	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი 9ა	0	40
2	ვებ ინტერფეისის დეველოპერი	მესამე	ვებინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040165	61	76	ქართული	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი 9ა	0	40
3	საოფისე საქმე	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 020369	59	89	ქართული	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი 9ა	0	80

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2. დაწესებულების მიერ გამოგზავნილი საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი 3. დაწესებულების მიერ გამოგზავნილი მოდულები: **ნორმატიული აქტების გამოყენება, ინტერპერსონალური კომუნიკაცია, საინფორმაციო - საცნობარო დოკუმენტების წარმოება, გაცნობითი პრაქტიკა-საოფისე საქმე და სხვა).**

დანართი 4. დაწესებულების მიერ გამოგზავნილი ვებ ინტერფეისის დეველოპერის სასწავლო გეგმა და მოდულები

დანართი 5. დაწესებულების მიერ გამოგზავნილი სასწავლო გეგმა და მოდულები: საინჟინრო ხაზვა, ელექტრული და ელექტრონული პრინციპები, კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ელექტროობაში, ელექტრული ტექნოლოგია, ელექტრული მანქანების თავისებურებები და გამოყენება, ელექტრონული მონტაჟი, მათემატიკა ელექტრიკოსებისათვის და საინჟინრო პროექტი).

დანართი 6. ბრძანება საოფისე საქმის, ელექტროობისა და ვებ ინტერფეისის დეველოპერის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ და სასწავლო გეგმები.

29.08.2018

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: